ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
სხდომის ოქმი № 1

ქ. ლანჩხუთი

17.02.2022
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე. კომისიის წევრები: გიორგი ჩახვაძე, ია მოქია, გიორგი გოგუაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, სპარტაკ კვაჭაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელენე იმნაძე.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: კახა თედორაძე, ვლადიმერ ნანაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

4. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ შესატანი ცვლილებები განპირობებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე. პოლიტიკურ თანამდებობის პირთა ხელფასები წლების განმავლობაში არ გაზრდილა. მათი საქმიანობის დაფასებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ხელფასების გარკვეული რაოდენობით გაზრდის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ხელფასების მოწესრიგება.

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში ხელფასები არის ძალიან მიზერული და საჭიროებს მომატებას. იგი ასევე დაინტერესდა ემატება თუ არა ხელფასი საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით აყვანილ პირებს?, რაზეც კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შემდეგ 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლების ხელფასების მატება და ასევე მიმდინარეობს მუშაობა ა(ა)იპ-ებში ხელფასების მოწესრიგებაზე.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, იზრდება თუ არა საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განსახორციელებელად გამოყოფილი თანხა, რაზეც კომისიის თავმჯდომარემ, განმარტა, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა გაიზრდება მინიმუმ 680 ლარამდე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 4, წინააღმდეგი 1(ჯუმბერ ბლაგიძე), თავი შეიკავა ერთმა დეპუტატმა-გიორგი გოგუაძე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ მერიის სოციალური სამსახურიდან შემოსულია ოფიციალური წერილი, სადაც მითითებულია, რომ ,,აუტისტური სპექტრის ბავშვების სარეაბილიტაციო პროგრამას“ დაემატა კიდევ 3 ბენეფიციარი. თითო ბენეფიციარისთვის გამოყოფილი სარეაბილიტაციო თანხა 4400 ლარს შეადგენს, რაც ამჟამად წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული არ არის. მისი თქმით, მიმდინარე წლის 21 თებერვლის საკრებულოს სხდომაზე დამატებით წარმოდგენილი იქნება განმარტებითი ბარათი, რომელშიც ასახული იქნება ყოველივე ზემოაღნიშნული.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებაში, საქართველოს

მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2380 განკარგულებით შეტანილი ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოლხეთის ეროვნულ პარკთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობასა და ელექტროფიკაციის სამუშაოების დაფინანსებისათვის გამოიყო 1639804 ლარი, თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 16564 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 1656368 ლარი, სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე და მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე გამოიყო 1380570 ლარი, თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 13945 ლარი, სულ პროექტის ღირებულება 1394515 ლარი. აღნიშნული პროექტების თანადაფინანსება უნდა განხორციელდეს ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 2925911 ლარი, რომელიც მიიმართება ქ.ლანჩხუთში დუმბაძის, წმ.ნინოს, წულაძის, გოგიჩაიშვილის, მარჯანიშვილის, გვარჯალაძის, კუპრეიშვილის შესახვევის და ჭავჭავაძის ქუჩების რეაბილიტაციაზე 2461682 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მიიმართება 129563 ლარი, სულ პროექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 2591245 ლარით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების (მრავალწლიანი) რეაბილიტაცია 160049 ლარი, თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან 8424 ლარი; (წინა წელს დაკავებული (შესრულებული სამუშაო) 110527 ლარი, სულ პროექტის დაფინანსება მიმდინარე წელს 279000 ლარი, ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯიხეთის დედათა მონასტრის ტერიტორიის ელექტროფიკაციის სამუშაოებზე (მრავალწლიანი) 304180 ლარი, თანადაფინანსება 16010 ლარი, (დაკავებული თანხა) 1500 ლარი, სულ პროექტის დაფინანსება მიმდინარე წელში 321690 ლარი. ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყვავილნარში გზის რეაბილიტაცია (დაკავებული) ადგილობრივი ბიუჯეტიდან 8362 ლარით დაფინანსდება.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N330 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხები უნდა მიიმართოს მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციაზე კერძოდ; ქ.ლანჩხუთში თბილისის ქუჩაზე მრავალბინიანი კორპუსის სახურავის რეაბილიტაციაზე 118246 ლარი, სოფელ სუფსაში (მეხის დაცემის) დამწვარი სახლის აღდგენით სამუშაოებზე 80301,32 ლარი, სოფელ გრიგოლეთში სასტუმრო „ლანშთანთან" ნამატი წყლის კორექტორის მოწყობაზე 187777 ლარი; სუფსის კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაციაზე 79124 ლარი, აცანის კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაციაზე 118888 ლარი, მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ოჯახებისათვის სახლის სახურავის შესყიდვაზე 150240 ლარი, აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად (325 განკ.) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიიმართება 17191,23 ლარი. სოფელ ქვიანში, სოფელ მოედანში და სოფელ ბაღლეფში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების რეაბილიტაციაზე მიიმართება 865119,35 ლარი, ქალაქის, გვიმბალაურის, ღრმაღელის, ჩოჩხათის, ლესის და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდების რეაბილიტაციაზე მიიმართება 331781,45 ლარი, გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა რეაბილიტაციაზე (წინა წელს) მიიმართება 260647,67 ლარი, სოფელ ჯიხანჯირის სკოლის ეზოში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებზე მიიმართება 102000 ლარი, გარე განათების გამართული ფუნქციონირების მიზნით სპეც. ტექნიკის შეძენაზე მიიმართება 199000 ლარი, სუფსის სამუსიკო სკოლის სახურავის მასალის (ადგილობრივი) შესყიდვაზე მიიმართება 29972 ლარი, სოფელ აკეთში კულტურული მემკვიდრეობითი სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის სამუშაოებზე 22365 ლარი, სოფელ შუხუთში გზის ნაპირსამაგრის მოწყობაზე 18942 ლარი, სოფელ გულიანში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის (ადგილობრივი) სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 19976,49 ლარი, საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების კამერების მომსახურებაზე 600 ლარი.

შემოსული წერილების განხილვის გათვალისწინებით ა(ა)-იპ „სპორტული ცენტრის"

დაფინანსება გაზიარდოს 16400 ლარით, შპს „სტდიონის“ დაფინანსება გაიზარდოს 5100 ლარით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობაში შესატანი ცვლილებების გათვალისწინებით მიზანშეწოლილია გაიზარდოს საკრებულოს შრომის ანაზღაურების მუხლი 321200 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლი 10000 ლარით, ხოლო საკრებულოში დასაქმებულ პერსონალთა სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით გაიზარდოს საკრებულოს არაფინანსური აქტივების დაფინანსების მუხლი 80000 ლარით, ასევე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების გათვალისწინებით გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მერიის შრომის ანაზღაურების მუხლი 628500 ლარით; საქონელი და მომსახურების მუხლი 16000 ლარით, არაფინანსური აქტივების მუხლი 90000 ლარით. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შრომის ანაზღაურებუის მუხლი გაიზარდოს 49800 ლარით, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებაზე მიიმართოს 300379,76 ლარი.

აღნიშნული ღონისძიებების ხარჯების დაფინანსებაზე მიიმართება; საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებაში 2021 წლის 27 დეკემბრის N2380 განკარგულებით შესული ცვლილების საფუძველზე გამოყოფილი 3020374 ლარი, საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით გამოყოფილი 2925911 ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე მიიმართება საქართველოს მთავრობის N51 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხები 300372,76 ლარი, ასევე საქართველოს მთავრობის წინა წლების განკარგულებით ჩამორიცხული თანხები, რომელიც 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთად ირიცხება ბიუჯეტის ანგარიშზე; კერძოდ N330 განკარგულება 1599696 ლარი, N2685 განკარგულება 1500 ლარი, N325 განკარგულება 17191 ლარი, N2577 განკარგულება 214584 ლარი, N27 განკარგულება 102000 ლარი. ამასთან განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებაზე და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფაზე მიიმართოს 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტში რიცხული თანხის ნაშთიდან 2132496 ლარი და დ.ღ.გ. გადასახადის 57500 ლარის ზრდით მიღებული შემოსავალი.

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ სისტემატიურად იტბორება სოფელ გრიგოლეთში სასაფლაოდან სუფსის ტერმინალთან მისასვლელი გზა. აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება. მან ასევე აღნიშნა, რომ ავარიულ მდგომარეობაშია და რეაბილიტაციას საჭიროებს სუფსის კულტურის სახლი, რაზეც დეპუტატმა ია მოქიამ განმარტა, რომ ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული სუფსის კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ.

მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა ელენე იმნაძემ აღნიშნა, რომ 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით საბაზისო განაკვეთი, შრომის ანაზღაურების, გახდა 1000 ლარიდან 1100 ლარი. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ კანონის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ცხრილში წარმოდგენილი კოეფიციენტების მიხედვით მოხდა მერიის პროფესიული საჯარო მოხელეების ხელფასების დაანგარიშება, რაც წარმოდგენილია საშტატო ნუსხაში. ყველა რანგს მოემატა ხელფასები ისე, რომ რანგებს შორის სხვაობა ზომიერია. მერიის საშტატო ნუსხით არის 86 პროფესიული საჯარო მოხელე, რომელთა ხელფასების მატება დროული და მიზანშეწონილია.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ გამოხატა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა ხელფასების მატებაზე ინფორმაციას მიმდინარე წლის 15 თებერვლის ბიუროს სხდომამდე არ ფლობდა, რაზეც სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ განმარტა, რომ საკრებულოში მერიიდან პროექტი შემოვიდა მიმდინარე წლის 8 თებერვალს, რომელიც იმ დღესვე გადაეგზავნა ყველა კომისიასა და ფრაქციას.

სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 4, წინააღმდეგი 2 (ჯუმბერ ბლაგიძე, გიორგი გოგუაძე)

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხვადასხვა.

დეპუტატი ჯუმბერ ბლაგიძე მართებულად მიიჩნევს, რომ საკრებულოს წევრს მინიმუმ 30-50 ლიტრი საწვავი გამოეყოს, რაც დეპუტატს მოსახლეობასთან შეხვედრასა და მეტ კომუნიკაციაში დაეხმარება.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: **/ ალექსანდრე მახათაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
სხდომის დასკვნა №1

17.02.2022 წელი
11.00 საათი

2022 წლის 17 თებერვალს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

17 თებერვალი **2022** წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	10 55	
2	ია მოქია	10:55	
3	გიორგი ჩახვაძე	10 58	
4	სპარტაკ კვაჭაძე	10-57.	
5	კახა თედორაძე	ში ძალიან	
6	ვლადიმერ ნანაძე	ში ძალიან	
7	გიორგი გოგუაძე	10 55	
8	ჯუმბერ ბლაგიძე	10 55	